საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

№ 49

შაბათი, ოქტომბრის 18 1921 წ.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

**განსახილველი საკითხები:**

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

---

გულდამწვარნი და ღრმად დამწუხარებულნი მშობლები: მამა ილია ნიკოლოზის ძე, მარკარიტა ალექსანდრეს ასული, და ოლღა, ძმები: დავით, ალექსანდრე და ნიკოლოზ, რძალი დარია ნიკოლოზის ასული ვაჩნაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 14 გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**კაპიტანი ირაკლი ილიას ძე ვაჩნაძე**

დაკრძალვა მოხდება სოფ. კოლაგში, სიღნაღის მაზრა. 17.

---

## ქართული სამხედრო სკოლა

ეუწყება რესპუბლიკის ყველა მშრომელთ, რომ ტფილისში, რუსთაველის პროსპექტზე (ყოფ. გოლოვინის პროსპ. № 4) ყოფ. ყოფილ პირველ გიმნაზიის შენობაში, მოთავსებულია ქართველ კურსანტების შეერთებული სამხედრო სკოლა. (სამხედრო მეთაურთა კურსები ჯარის ყველა დარგისათვის) სკოლას მიზნად დასახული აქვს მომზადება იმ პირთა, რომელნიც დაინიშნებიან ოცის თავად ქვეითა, არტილერიის, ცხენოსან ანუ საინჟინერო სამწყობრო ნაწილებში. სკოლაში მიიღება განათლებით როგორც საზოგადო აგრეთვე სპეციალი (სხვა და სხვა ჯარის დარგისათვის) სამხედრო საქმეში შემდეგ განვითარებისათვის. სკოლა იყოფა ორ კურსად: უნცროსი და უფროსი. სკოლაში მოსწავლენი იწოდებიან კურსანტებად და სარგებლობენ ყველა უფლებით: უნცროს კურსზე მყოფნი—თავმდეგის და უფროს კურსზე კი—ოცის თავის თანაშემწისა.

სკოლაში შესვლა შეუძლიან ყველა მშრომელს არა ნაკლებ 18 სა და არა უმეტეს 28 წლისას, რომელნიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

უნცროს კურსზე მიიღებიან უმთავრესად პირველ დაწყებითი სკოლის არა ნაკლებ სამ კლას დ მთავრებულნი, მხოლოდ პოლიტიკურად განსაკუთრებულ რეკომენდაციით აღჭურვილნი მიიღებიან უფრო ნაკლები ცენზითაც. სპეციალურ განყოფილებებში (არტილერიის და საინჟინრო) მიიღებიან არა ნაკლებ საშ. გიმნაზიის 4 კლასის ცენზით. უფროს კურსზე მიიღებიან მხოლოდ ისინი ვინც გამოცდას ჩააბარებენ უმცროს კლასის კურსზე.

სკოლაში შესვლის მსურველთ განცხადება უნდა შემოიტანონ სკოლის უფროსის სახელზე პირველ ნოემბრამდე. განცხადებასთან დართული უნდა იყოს: მიღებულ განათლების მოწმობა და პოლიტიკური კეთილსაიმედოობის მოწმობა, ან პარტიულ იაჩეიკის, ან რევკომის, ან პროფკავშირის ან და პარტიის ორი წევრის მიერ ხელმოწერილი სათანადო ბეჭდით დადასტურებული.

ჯარის ნაწილთა უფროსნი, არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა გამოუგზავნიან სკოლის უფროსს იმ წითელ-არმიელთა სიას, რომელნიც აკმაყოფილებენ სკოლაში მისაღებ პირობებს. ასეთი პირნი უნდა გამოიგზავნონ სკოლაში პირველ ნოემბრისათვის.

ყველა შემსვლელი სკოლაში გაისინჯებიან ჯანმრთელობის მხრით, სამოსწავლო კომისიაში განათლების მხრით და სამანდატო კომისიაში პოლიტიკური მხრით. ყველა მიღებული სკოლაში ითვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურში. სკოლაში სწავლის ვადა ორი წელიწადია. სკოლაში ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს, სპეციალ სამხედრო საგნებს და სამწყობრო მეცადინეობას. სწავლა სწარმოებს სახელმწიფო ენაზე. წარმატებით სწავლა დამთავრებული კურსანტები დაინიშნებიან ოცის თავის თანამდებობაზე სამწყობრო ნაწილში: ქვეითა, ცხენოსან, არტილერიის და საინჟინერო და მიიღებენ სახელმწიფოს ხარჯით სამხედრო მეთაურთათვის დაწესებულ სრულს კომპლექტს: ტანსაცმელს, თეთრეულს, მოკაზმულობას და იარაღს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების სამმართველო.

---

## წითელი ჯარი და მისი მეთაურები

საბჭოთა საქართველოს ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, როგორც შინაური, ისე გარეშე. ჩვენ ეს არ გვაშინებს; პირიქით, სიამაყეს გვმატებს. „იცოდას რად უნდა მტერობა,—კარგია მუდამ მტრიანიო“, ამბობს უკვდავი ვაჟა. საქართველოს ყოველმხრივი „სიკარგე“ მ[illegible] მიზეზი გახლავთ იმისა, რომ ყ[illegible] კი ჩვენი ხალხი და ჩვენი სამშობლო გაუცვლია, გადაუწყვეტია მისი ან დამორჩილება, ან დამეგობრება. ჩვენმა ხალხმა მთელი თავისი წარსული გაატარა ამ მტერ-მოყვარეებთან ბრძოლაში. საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა და, რაც თავი და თავია, თავდაცვითი ომების. ქართველი ერი თავის დამოუკიდებლობას, საკუთარ თავისუფლებას იცავდა მომხდურისაგან და არავის არ დასხმია თავს დასაპყრობად, დასამორჩილებლად.

მაშინ საქართველო და მისი თავდაცვის საქმეც თავად-აზნაურობის ხელში იყო. ომშიაც ხელმძღვანელობა, მეთაურობა მათი მოვალეობა და მათი საქმე იყო. ეს ბუნებრივია. ქვეყნის პატრონმა კიდევაც უნდა დაიცოს და მოუაროს მას.

დღეს საქართველო და მისი თავისუფლება მშრომელ ხალხის ხელშია. მან იკისრა თავისი ქვეყნის პატრონობა და კიდევაც უნდა შეასრულოს ეს პატიოსნად, გმირულად. სანამ არსებობს სახელმწიფო, მისთვის აუცილებელია სამხედრო ძალა, ჯარი და იარაღი. საბჭოთა რუსეთმა ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა და შეუძლებელი შესძლო იმით, რომ შექმნა ძლიერი წითელი არმია.

რუსეთის წითელი ჯარი დღეს საქართველოს საზღვრებზედაც სდგას და წელს უმაგრებს საქართველოს მშრომელთა დიქტატურასაც. ეს მოვლენა არა არის ნორმალური. საბჭოთა საქართველომ აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი სამხედრო ძალა და მას დაეყრდნოს. ეს კარგად ესმის ჩვენს მთავრობასაც და იგი კარგი ხანია შეუდგა ამ დიდ საქმეს. სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს წითელი ლაშქარი მალე გაანთავისუფლებს რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს, რომელიც ჩვენშია დაბანდებული და ჩვენს მაგიერობას ეწევა, ჩვენს მოვალეობას ასრულებს.

ვინ უნდა უძღვებოდეს საქართველოს წითელ ლაშქარს? სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ვინ უნდა უხელმძღვანელოს მშრომელ ხალხს რევოლიუციაში, კლასობრივ ბრძოლაში? რასაკვირველია შეგნებულმა და საიმედო მოწინავე მუშებმა და გლეხებმა. წითელი ჯარი იმით განსხვავდება უწინდელი ჯარისაგან, რომ ის იცავს მშრომელთა სახელმწიფოს და გლეხთა ხელისუფლებას, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებას. ამიტომაც მისი ხელმძღვანელებიც აუცილებლად უნდა იყვნენ კლასობრივად გათვითცნობიერებული, მუშათა კლასის ინტერესებით გამსჭვალულნი და დიადი მომავლის იმედებით აღფრთოვანებულნი.

რასაკვირველია მარტო ის თვისებები არ კმარა იმისათვის, რომ ჯარს ხელმძღვანელობა გაუწიო. ომის წარმოებას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა. სამხედრო ხელოვნებას თავის სპეციალისტები ჰყავს, კიდევაც უნდა ვსარგებლოთ მათი ცოდნა-გამოცდილებით. მაგრამ ძველი ჯარის ხელმძღვანელები უმთავრესად გამოსულები არიან შეძლებულთა კლასიდან და მათ არა აქვთ ის აუცილებელი თვისებანი, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და რომელიც უეჭველად უნდა ჰქონდეს წითელი ჯარის ხელმძღვანელებს. რევოლიუციონური ჯარი და მისი ხელმძღვანელები კი შედუღებულნი უნდა იყვნენ საერთო კლასობრივი ინტერესებით. ეს აუცილებელი პირობაა გამარჯვების უზრუნველსაყოფად. ამის მაგალითია რუსეთის წითელი არმია.

საბჭოთა საქართველოს რევკომი ღებულობს შესაფერ ზომებს წითელი ჯარის ხელმძღვანელთა მოსამზადებლად. ჩვენ ქვემოდ ვბეჭდავთ სამხედრო სასწავლებლის სამმართველოს განცხადებას, საიდანაც მკითხველი გაიგებს, რომ დაარსებულია ქართველ კურსანტების შეერთებული სამხედრო სკოლა, წითელი ხელმძღვანელების მოსამზადებლად; გაიგებს აგრეთვე თუ ვინ და რა პირობებში მიიღება ამ სკოლაში.

მოვუწოდებთ ქართველ მშრომელ ახალგაზრდობას მეტის ყურადღებით მოეპყრან ამ საქმეს და ჩაეწერონ მსმენელებად ხსენებულ სკოლაში.

---

## ორი კვირის შემდეგ

ჩვენმა ამხანაგებმა იციან, რომ ორი კვირის შემდეგ შეიკრიბება ჩვენი პარტიის ყრილობა დღევანდელ რთულ პირობებში, როგორც საერთაშორისო ისე ჩვენი ქვეყნის მეტად დიდ საკითხებს აყენებს ყრილობის წინაშე და გარკვეულ პასუხს მოითხოვს მისგან.

მსოფლიო მაშტაბით წარმოებული ბრძოლა, დიდ სახელმწიფოთა ახალ პოლიტიკური კომბინაციები, სხვა და სხვა მოვლენანი საერთაშორისო პოლიტიკაში და მათგან გამომდინარე ესა თუ ის შესაძლოობა, მოითხოვს სადად გარკვევას, საკითხთა რადიკალურად დასმას და საკუთარი პოზიციის დაჭერას.

ჩვენთვის დღეს საარსებო საკითხებია დასმული. ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებში საკუთარი პოლიტიკური გეზის ალება არც ისე ადვილად და მარტივად გადასაჭრელი საკითხია, როგორც ბევრი ფიქრობს.

ყოველი ყეენი ნაბიჯი, ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი ჩვენი გამოსვლა ათასჯერ, გაზომილი და ათასჯერ გადასინჯული უნდა იყოს. ჩვენს თეორიასა, პრინციპებსა და პრაქტიკას შორის სრულ თანხმობა, სრული ჰარმონია უნდა მეფობდეს და ერისა და სოციალიზმის მტკიცე, მედგარი, თავდადებული სამსახური უნდა იყოს ის ცენტრი, რომლის გარშემო უნდა დავირაზმოთ, რომლისათვის უნდა ვიბრძოლოთ.

ჩვენმა ამხანაგებმა ლაღ სიფრხილესთან, პოლიტიკურ ალღოს ალებასთან ერთად, დიდი სულიერი გმირობაც უნდა გამოიჩინონ. წვრილმანი საკითხებით, პატარა მტკივნეულობით არ უნდა გაიმსჭვალონ და პედანტიზმის ღმერთს და არ უნდა მიუტანონ სამსხვერპლოზე ერისა და ხალხის ბედი, მისი ინტერესები.

ჩვენ ვიცით, რომ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს პროვინციებში. თხოულობენ ცნობებს, მასალებს, ემზადებიან ყრილობისათვის. ეს დიდი სიმპტომია. სჩანს, რომ პარტიის პოტენცია არ გამქრალა, იგი არ მოდუნებულა ამ ოთხი წლის განმავლობაში, მიუხედავად მრავალ დამკრობლებისა და მრავალი მიზეზისა, როგორც საერთოდ ობიექტიური პირობების მხრივ ისე, კერძოდ პარტიის უმოქმედობის მხრივაც.

დღეს მით უფრო მიმზიდველია მუშაობა, რომ ვიცით ვინ ვისთან ვართ, ვიცით რას ვაკეთებთ, ვიცით საით მივდივართ. არ არის წინანდელი წინააღმდეგობა აზროვნებაში, მოქმედებაში, პრაქტიკაში. ერთი რწმენით ერთი გზით, ერთი მიმართულებით არის ჩვენი მოქმედების ასე, ჩვენი საქმიანობის ყალიბი.

ჩვენმა ყრილობამ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს პარტიის სიმკვრივე, ორგანიული, იდეური შეკავშირება წევრებისა.

ყრილობამ უნდა გაწმინდოს პარტია როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ, თუ კი ასეთები არსებობენ და სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეურ დასაყრდენზე უნდა შექმნას პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მჭიდროთ უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენ ერთი წუთით არ უნდა გვავიწყდებოდეს და ვერც დავივიწყებთ ქართ. ერის უფლებებს, მისთვის ბრძოლას, მისთვის მუშაობას. ამიტომ უნდა ვიპოვოთ ის გზა, რომელიც მეტ შედეგს მოგვცემს, მეტ ნაყოფს მოიტანს და რეზულტატი მეტი იქნება ქვეყნის სასარგებლოდ.

როგორი მოუხამებულიც არ უნდა იყოს ატმოსფერა ჩვენს წინაამდეგ, როგორი ცილისწამება, შეურაცყოფა და ტალახი არ უნდა ისროლონ რეაქციონურმა და პოლიტიკურად გაკოტრებულმა ელემენტებმა, ჩვენ მტკიცე რწმენით უნდა ვიაროდეთ წინ და ისტორიას უნდა მივანდოთ განაჩენის გამოტანა. ისტორიას უნდა მივანდოთ ჩვენი არსებობის მნიშვნელობა და დაე, მიუდგომელი ისტორია იყოს მსაჯული, იმისაც ვინც ხელს არ იღებს ერისა და ხალხის სამსახურზე და იმისაც, რომლებიც ქუჩებში ჭორების გავრცელებას უნდებიან მაშინ, როდესაც ერის საარსებო საკითხებია დასმული ჩვენს წინაშე.

ჩვენ გადაჭრით, გარკვეულად უნდა აღვიაროთ, რომ მოქმედება, მოქმედება და კიდევ მოქმედება უნდა იყოს ჩვენი მიზანი იმ პრინციპებისათვის, რომელიც გვიანდერძა არჩილმა და რომელიც დაამახინჯა პარტიის პრაქტიკულმა პოლიტიკამ მენშევიკური გზით მიმავალმა.

ყრილობამ კრისტალის მგზავსად უნდა ჩამოასხას პარტიული ორგანიზაციები და გარკვეული გზით უნდა წაიყვანოს იგი ჩვენი ცხოვრების პოლიტიკურ შემოქმედებაში.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ყრილობა შეასრულებს თავის დიდ მისიას და ყველა საკითხებს გადასჭრის სრულის პასუხის მგებლობის შეგნებით.

ხერ. ამაღლობელი.

---

## ქალთა ორგანიზაციების საკითხის გარშემო

ამხ. ს. ამაღლობელი ისე აჭიანურებს თავის წერილებს ქალთა ორგანიზაციის საკითხის შესახებ, ისეთს ფერთებს ასხამს მას, რომ გამოუდგეთ მის დეტალურათ გარჩევას ჩვენს შორის კამათი დაუსრულებელი იქნება, ვინაიდან, როგორც მკითხველი შეამჩნევდა მე და ჩემს პარტიულ ამხანაგის შორის, ქალთა საკითხის გარშემო არა მარტო ტაქტიკური განსხვავებაა, არამედ პრინციპიალურიც. საზოგადოდ ს. ამაღლობელს ძლიერ უყვარს ქალთა საკითხზე კამათი და ასე გაშინჯეთ, იქაც კი სადაც მას მოწინააღმდეგე არავინ არა ჰყავს. მაგალითად საკითხი ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციებისა იმ დროს წამოაყენა ს. ამაღლობელმა, როცა არავითარი ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები ჩვენში არ ეწყობოდა. როცა მე ჩემს მოწოდებაში გაზ. „ტრიბუნის“ 25 №-ის ფურცელზე ერთი სიტყვითაც არ მიხსენებია მოწყობა ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციებისა და მოუწოდები ამხ. ქალებს თავი მიეყარათ მემარცხენე სოც.-ფედერალისტების პარტიის გარეშემო. მიუხედავად ამისა ამხ. ს. ამაღლობელმა პრინციპიალურად წამოაყენა საკითხი შესახებ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებისა. და მიჰყო ხელი იმის მტკიცებას, რომ ქალთა ორგანიზაციები, არა თუ დღეს, არამედ არასოდეს არ იყო სასურველი, ვინაიდან ის ვნებების, როგორც ასეთების, წინააღმდეგ ამხედრებდა ქალებსაო, და თუ რაიმე აზრი ჰქონდა მის არსებობას წარსულში მას შემდეგ რაც ქალთა იურიდიული უფლება გამოცხადდა, ასეთ ორგანიზაციებს ყოველივე მიზანი დაკარგული აქვსო. ამას სწერდა ამხ. ამაღლობელი წინანდელ წერილებში, რამაც გამოიწვია ჩემი პასუხი და ამასვე იმეორებს დღესაც თავის საპასუხო წერილებში. სამწუხაროდ მეც მომიხდება გამეორება ჩემი „წინანდელი წერილებისა, სადაც ქალთა მოძრაობის ისტორიიდან ვამტკიცებდი, რომ ქალების ცალკე ორგანიზაციულად გამოყოფას არამც თუ არ გაუთხრია უფსკრული ქალ-ვაჟთა შორის, როგორც ამხ. ამაღლობელი ჰფიქრობს, არამედ თვით ვაჟები ეხმარებოდენ და შველოდენ ქალებს თავიანთ უფლებისათვის ბრძოლაში. და თუ საერთო ძალით საქმის კეთება არ სურდათ ქალებს, ეს იმას როდი ნიშნავს მათ ვაჟებთან ერთად მუშაობა არ სურდათ, არამედ იმ პარტიებთან, რომლებმაც ქალების ნდობა ვერც ერთხელ ვერ გაამართლეს. და მას შემდეგ რაც ქალები მწარე გამოცდილებით დარწმუნდნენ თვითეული პარტიის თვალთმაქცობაში, რომლებიც ქალების მომხრეებათ იმდენად გამოდიოდნენ, რამდენადაც მათ სურდათ მათ მიერ წამოყენებულ ამა თუ იმ კანდიდატის გაყვანა ქალების დახმარებით. და არა ქალთა საკითხის დაცვა ქალებმა ინგლისში პარტიებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებთ, რომ დღევანდელ პირობებში ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციების მოწყობა არ ხერხდება. რაიც იმას არ ნიშნავს, რომ მის არსებობას სამუდამოდ მიზანი და მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდეს, წინააღმდეგ ჩვენ ვფიქრობთ, თუ რომ მიმდინარე სოციალურმა რევოლიუციამ არ გაატარა ცხოვრებაში ძირითადი რეფორმები ქალ-ვაჟთა სწორუფლებიანობისა და ახალ სოციალურ მშენებლობაში შეიტანა ნაშთი ქალთა მონობისა, მაშინ დაინახავენ დღევანდელი ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციების სამუდამოდ უარისმყოფელნი, თუ რა მძლავრად წამოაყენებს თავს ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები და როგორი სოლიდარული იქნება ქალთა ბრძოლა.

ამხ. ამაღლობელს თუ რომ აწუხებს ქალთა ორგანიზაციულად ბრძოლამ არ მიიღოს ხასიათი სქესთა შორის შუღლის ჩამოგდებისა, ის დღესვე უნდა ცდილობდეს გატარებული იქმნას ქალების სრული უფლებიანობა ცხოვრებაში და არამცა და არამც შეტანილი სოციალისტურ მშენებლობაში რაიმე პრივილეგია ვაჟებისა და ამ საგანზე უნდა სწერდეს ის დღეს და არა ქალთა ორგანიზაციების საკითხს არჩევდეს. ვინაიდან ჩან უნდა ესმოდეს ის აშკარა მოვლენა რომ, მას აქეთ რაც ქალებმა დაანებეს თავი მარტო ერთი

...ობით ცხოვრებას და ფიზ. შესდ ეს ...ინტელექტუალურ განვითარების ...ზე ...ადამიანური თ...ვმოყვარეობა აღზ-რდილია მეტოლობითი სქესის მო-... ცხოვრებით.

...ლთა ინტელექტუალური განვითა-რება თანამედროვე ცხოვრებაში უფრო უფრო წინ იწევს. სოციალისტურ წყობილებაში კი ის მიიღებს საყო-ველთაო ხასიათს და არა დღევანდელ ...ისობრივს. და ვინც ფიქრობს, რომ ...ება განვითარებული ქალები შეუ-...დებიან იმ საზოგადოებას, რომელიც ...ცემს ქალებს, სრულს გარანტიას ...ი პიროვნულ, ინტელექტუალურ და ...ალურ სწორუფლებიანობისას, ჭეშმა-რიტად ის, ან დიდი გულუბრყვილოა, ... დიდად დარწმუნებული ქალების ...-მოკლეობაში. ჩემი პარტიული ...ანაგი იმდენად გულუბრყვილო არ ...ა არის, რამდენად დარწმუნებული ...თა ინტელექტუალურ სისუსტეში. ამისათვის ეხლავე ცდილობს ქა-...ბი შეაჩვიოს იმ აზრს, რომ მათი ინტელექტუალური თანასწორობა ვ ქებ-... არც შესაძლებელია და არც მოსა-...ვი. ამხ. ს. ამაღლობელი იმ ჯიშის ...სოციალისტებს ეკუთვნის, რომლებიც ...ფიქრობენ რომ ქალი სამუდამოთ მამა-...ის მაჩანჩალა დარჩება. მათის აზრით ...ეზე ვაჟთა ნებისა და მისწრაფებისა ...ისათვის არავითარი დამოუკიდებელი ...ითხი არ უნდა არსებობდეს და თუ ...არებენ ქალთა სწორუფლებიანობას ქალთა ინტელექტუალურ განვითა-რების საჭიროებას, მხოლოდ მისთვის, ...მ ქალმა ვ...ს ხელი შეუწყოს თავისი ...ს" მონახვაში და ...მის ...ტკიცებაში. ქალი, როგორიც დამოუ-კიდებელი მოაზროვნე, როგორც თვით ...ხანი მათთვის არა თუ სასურველი არ ...ის, არამედ უარის-საყოფიც.

როგორც თანდათანობით ირკვევა ამხ. ...დლობელი სოციალისტიც არის და ...ვე დროს ვეინინგერის მორცხვი მო-...ეც. ერთის მხრით ის გვიცხადებს: ...ფლებათა მატარებელი სუბიექტის ...საზღვრა ყოვლად შეუძლებელია, რად-...ნ ჯერ მეცნიერებს არ უპოვნია ისე-... ინსტრუმენტი, რომელიც დაახლო-ებით მაინც გვიჩვენებდეს ინტელექ-...ს ხარისხს, მის შედარებას სხვა ინ-ტელექტუალურ აპარატთანო". მეორე ...ით კატეგორიულად აცხადებს; „რა ...მა უნდა ჩვენ ერთი წუთითაც არ ...ვიწყდება ქალის ინტელექტუალური ...სუსტე და ამ ხისუსტის გარდუვალო-..." აქ კი ჩემი პარტიული ამხანაგი ...ინინგერის, ამ პრუსიულ იმპერიალიზ-...ის დამცველ ...ურ ფილოსოფოსის ...მდევარია. და უკანასკნელის გულ-მოწ-...ლეობით გვიცხადებს, ჭკუით სუსტი ...რით „მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ...ოლიტიკურ და სოციალურ კითხვათა ...დაწყვეტაში ქალი თანასწორ უფლე-...ით არ სარგებლობდესო". ჩემი პარ-ტიული ამხანაგი ვერც კი ამჩნევს, თუ ...ა წინააღმდეგობით ალსავსეა მისი ...ერილები. ან და უნდა ვიფიქროთ, რომ ... ინსტრუმენტი, რომელიც, მისივე გან-ცხადებით, ვერ აღმოუჩენია დღემდე ...ცნიერებას ინტელექტის ხარისხის გა-...ზომად, ამხ. ს. ამაღლობელს უპოვნია, ...რომლითაც ქალთა ინტელექტი აუწონ-...აწონია. და იმ დასკვნამდე მისულა, ...ომ თუ ქალი დღეს ჩამორჩენილია ამის ...იზეზი ბუნებრივია და არა ისტორიუ-...ი. და თუ პოლიტიკურ და სოციალურ ...აკითხის გადასაწყვეტად თანასწორ ...ფლებას აძლევს ქალებს ვაჟებთან ეს ...ხოლოდ იმ მიზნით, რომ ეს უფლება ...ვე ვაჟკაცის სასარგებლოდ გამოიყე-...ოს.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება).

## ტფილ. სახელმწ. უნივ. საპედაგო-გიო ინსტიტუტის სტუდენტებს

აკადემიური წელი დაიწყო. უკანას-კნელ ხანებში ტრიალდება აზრი საპე-დაგოგიო ინსტიტუტის დახურვის და ინსტიტუტის სტუდენტთა უნივერსიტე-ტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე გად-რიცხვის შესახებ, მაგრამ როგორც ვში-ოდით განათლების კოსარიატის ეს დად-გენილება მეორე კურსის სტუდენტე-ბზე არ ვრცელდება და მეცადინეობა, გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით. უნი-ვერსიტეტში მეცადინეობა უკვე დაი-წყო; ხვალიდან, 17 ოქტომბ განახლდე-ბა ინსტიტუტშიაც. გაცნობებთ რა ამას, აუცილებლად საჭიროა თქვენი დაუყო-ვნებელივ ჩამოსვლა, ვინაიდან თუ მსმენე-ლთა კოლექტი არ შესრულდა განსა-ზღვრული რიცხვამდე, მეცადინეობამ შე-იძლება სხვა სახე მიიღოს.

სტუდენტთა ერთი ჯგუფის დავალე-ბით, ერთხელ კიდევ მოვაგონებთ თქვე-ნი დაჩქარებით ჩამოსვლის საჭირო-ებას.

გ. თავზარაშვილი.

## ავადმყოფთა უბანი

ქვ...რას, ოქტომბრის 16 ს, საბურთა-ლო-ახალშენისკენ მოიხდა გავლა, წინ-დოლდა იქ მეგობარი მენახა, ცოტა ხნით გული გადამეყოლებინა მასთან საუბრით და თანაც მენახა იქ მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობა. გავცდი თუ არა ვერის ბაღებს, რაღაც არა ჩვეულებრივი სუ-რათი გადამეშალა თვალწინ. ჩემი თავი სულ სხვა ხალხში ვიგრძენი: სადღა არის იქ სიცოცხლე, სიმხიარულე, სი-ცილი, მოძრაობა, რომელიც ტფილისის ცენტრში უხვად არის?

კანტი-კუნტათ მიმოდიან ადამიანის ლანდები, რომელნიც გამოსულან გარეთ ან პურის სასყიდლად, ან და ექიმისაკენ მიდიან ლალებენ ბარბაცით ჰარაქათ გამო-ლეულნი.

ყველას სახეები ჩამოყვითლებიათ, ჩა-მომქანარან და სასომიხდილნი უსიცო-ცხლოდ გამოიყურებიან. იშვიათია ისე-თი ოჯახი, რომ ციებ-ცხელებიანი ავად-მყოფი არ იწვეს, ზოგან მთელი ოჯახია ავად დიდით-პატარამდე და წყლის მი-მწოდებელიც არა ჰყავთ.

მაგალითად ცნობილი ნიჭიერი მუშა-თა პოეტ-ბელეტრისტი ახალ-ამწყობი გიგო ხერხეულიძე, რომელიც რკინის-გზის სტამბაში მუშაობს, მთელი ოჯა-ხობით არის ავად: ცოლი, შვილი და თვითონ სამივენი ლოგინში წვანან ღვთის ანაბარად მიტოვებულნი და არ-საიდან საშველი არ გააჩნიათ. საჭიროა უმწეო მუშა მწერალს მწერალთა კავ-შირმა მაინც გაუწიოს ნივთიერი დახმა-რება და შიმშილით არ მოკლან.

ამ უპატრონო უბანს მხოლოდ ერთი დაუღალავი ახალგაზრდა მუშაკი გ. მა-დრაძე გამოსჩენია, რომელიც დაუზარებ-ლივ დაიარება ავადმყოფთა ოჯახებში, მიჰყავს ექიმი და ეწევა ენერგიულ საქ-მიანობას.

ადამიანთა მსხვერპლი თითქმის ყოველ დღე არის და როგორც გადმომცეს, იქ ერთი დურგალი კუბოების კეთებას ვერ ასდის.

სენის გავრცელებას ხელს უწყობს სიღარიბე, შიმშილი, რომელთაც არა აქვთ საშვალება დღევანდელ სიძვირის გამო წესიერად ხელი შეუწყონ თავიანთ თავს ჭამა სმის მხრივ და მომეტებული ნაწილი ცარიელი მჭადით გაძღომასაც კი მონატრულია.

აუცილებლად საჭიროა მთავრობამ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს და სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოს ავად-მყოფი ოჯახები და დაიხსნას ისინი სი-კვდილის ბრჭყალებიდან, რომელსაც მძლავრად გაუშლია ფრთები საბურთა-ლო-ახალშენში. საჭიროა აგრეთვე მთავ-რობასთან ერთად ხალხმაც იზრუნოს და ან შემოწირულებით, ან სხვა რამ სახით დახმარება აღმოუჩინოს და მოიხადოს თავისი ზნეობრივი მოვალეობა უმწეო მოძმეთა წინაშე.

საბურთალო-ახალშენში მომეტებული ნაწილი მუშა მშრომელ ხალხს შეად-გენს, რომელთაც დიდი შრომითა და მეცადინეობით აუშენებიათ საცხოვრე-ბელი ბინები, უკანასკნელი გროში და-უხარჯიათ და ამისათვისაც არის, რომ უსიკვდილოდ არ ეთმობათ ნაშრომ-ნაამაგდარის მიტოვება, ან კი სად წა-ვიდნენ?

ეხლავე უნდა იქმნეს ზომები მიღებუ-ლი საშინელი სენის წინააღმდეგ, უნდა გამოიკვლიონ ექიმებმა საბურთალო-ახალშენის მიდამოები, უნდა გაიგმინდოს იქაურობა აშმორებულ ჭაობებისა და გუბეებისაგან, თუ არ გვინდა, რომ იქა-ურობა ნაოხარს დაემსგავსოს და გაუ-ქარწყლდეს.

პ. ახალკაცი.

## ახალი ამბები

— ყველა საწეულს გამტარებელს „ბა-ვშვის კვირისას" რაიონებში წინადადე-ბა მიეცათ თავის პირადი პასუხის მგე-ბლობის ქვეშ შეადგინ შეკრიბებას. ყველა ფული, შემოწირულებანი უნდა აღნიშნულ იქმნეს და მიეცეს შემომწი-რველთ კვიტანციები.

— ოქტომბრის რევოლუციის ხაზე-იმოთ. საქართველოს უდიდეს სოფლებში გახსნილი იქნება 44 სამკითხველო, რო-მლისათვის სპეციალურად მზადდება ბი-ბლიოთეკები და პლაკატები და სხვა.

— ხალხოთ-ლექცია. დღეს 18 ოქტო-მბერს კონსერვატორიის შენობაში შეს-დგება სალაშო „რუსის უკანასკნელ ათი წლის პოეტების" შესახებ. მოსკო-ველი პოეტი ტიტურიკ იგნევი წარმოსთ-ქვამს სიტყვას ბლოკის, კლიუევის და სხვა. ახალგაზრდათა სკოლის პოეტთა პოეზიის შესახებ. პოეტი უშაკოვი წაი-კითხავს „რუსული პოეზია გზა-ჯვარე-დინზე" წაკითხული იქნება რუსის ყვე-ლა საუკ თესო პოეტების ლექსები სა-ქართველოსა და კავკა იაზე. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

— 14 ოქტომბერს სამ საათზე შინა-გან საქმეთა კომისარიატის სამართვე-ლოს დაესხნენ ავაზაკები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ გაეტაცნათ იმ დღესვე მოტანილი ასი მილიონი მანეთი მოსამ-სახურეების დასაკმაყოფილებლად, მაგ-რამ ზოგი მათგანი იქვე დაიჭირეს და ზოგი შეიპყრეს.

— მოკლე დროში ავლაბარში იხსნე-ბა ამერიკულ კომიტეტის მიერ საბავ-შვო სასადილო, სადაც ისადილებს 750 ბავშვი, 250 ღარიბი ქალი.

— განცხადება 17 ოქტომბერს 1921 წ. საღამოს 5 საათზე ცალკე კავკასიის არმიის რევ. ტრიბუნალში სასართლოს ქუჩა № 30 დაიწყო საქმის გარჩევა ალექსანდრე ანოპრიენკოსა, რომელსაც ბრალად ედება მონაწილეობის მიღება შაიკაში, ყალბი დოკუმენტების ფაბრი-კაცია, რომლითაც ღებულობდა სურ-სათს, სხვა და სხვა დაწესებულებებიდან, ინახავდა ყალბ ბეჭდებს, ბლანკებს და სხვა. დარბაზში შესვლა, შეიძლება ბი-ლეთებით, რომელიც მიიღება კოლეგიის მდივნიდან.

## უცხოეთის პრესა

ერთა ლიგა.

მოს. „პრავდაში" გადმობეჭდილია გაზ. „მანჩესტერ გარდიანიდან" სრული ტექსტი ნანსენის პროტესტისა ერთა ლიგის უმოქმედობის წინააღმდეგ რუ-სეთის შიმშილის საკითხის გამო. ნანსენმა განაცხადა: „ჩემგან წარმოდგენილ რეზო-ლიუციისმიზნად ჰქონდა დახმარების თან-ხმობა მიეღო ყველამთავრობისაგან, რომ საერთაშორისო მაშტაბით ყოფილიყო წარმოებული რუსეთის დამშეულთადმი დახმარება. ის არ შეიცავდა ახალს მოწო-დებას კერძო ქველმოქმედებისადმი. ჩე-მი მოწოდება მთავრობებისადმი სას-ტიკად დამარცხდა. შიმში_ი სიკვდი-ლით ემუქრება 20 მილიონ მცხოვრებთ მაშინ, როცა მათი გადარჩენისათვის აუცილებელი სურსათი იმყოფება სულ რამოდენიმე ასეული მილის მანძილზე. ლეპ რაკობენ რუსეთში სურსათის გა-ნაწილების დროს სასტიკი კონტროლის გატარების საჭიროებაზე. მაგრამ საჭი-როა შედარებითი მცირე თანხა მთავ-რობის კრედიტის სახით, რომ აცი-ლებული იქმნას საშინელი კატასტრო-ფა. შემდეგ ნანსენმა გააშუქა საკითხი თავის ნებით შემოწირულებებისა და აღნიშნა მთელი კამპანია სიცრუისა, წარმოებული საბჭოთა მთავრობის წი-ნააღმდეგ. ეს სიცრუენი მისი აზრით, გამომდინარეობენ ერთი და იგივე წყა-როდან, რომელიც დაინტერესებულია ხელი შეუშალოს ყოველივე ზომას, მი-მართულს რუსეთის დასახსნელად. დახ-მარების მოწინააღმდეგეთ ეშინიათ, რომ დახმარება ხელს შეუწყობს საბჭოთა მთავრობის განმტკიცებას. თავისი სიტ-ყვა ნანსენმა დაამთავრა შემდეგი სიტ-ყვებით: ნუ თუ კრებაზე იქნება ერთი ისეთი კაცი მაინც, რომელიც ამჯობი-ნებდა 20 მილიონ ადამიანთა დაღუპვას, საბჭოთა მთავრობის დახმარებას? მე თქვენ გაფრთხილებთ, რომ თუ ბრიუ-სელის კონფერენცია თავის მოღვაწეო-ბას დაიწყებს იმით, რომ გაგზავნის საანკეტო კომისიას რუსეთში, შემდეგ შეუდგება კომისიის მოხსენების გან-ხილვას, შემდეგ დაიწყებს გაჭიანურე-ბულს მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრო-ბასთან ახალი შეთანხმების შესაკვრე-ლად და ამის შემდეგ შეუდგება ამ შე-თანხმების გასატარებლად ახალი აპა-რატის შექმნას, „დახმარება მეტის მე-ტად აგვიანდება. გაზეთის კორეს-პონდენტის ცნობით ნანსენის სიტყვამ მოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება კრე-ბის წევრებზე, თუმცა ზოგიერთ წევრებს ემჩნეოდა მეტად მტრული განწყობილე-ბა მისდამი. ნანსენს ცინიკურად უპასუ-ხა სერბიის დელეგატმა სპაილაკოვიჩმა. მან განაცხადა, რომ ის ამჯობინებდა მოწმე ყოფილიყო მთელი რუსეთის ხალხის დაღუპვისა, ვიდრე „რისკი" გაეწია საბჭოთა მთავრობის დახმარე-ბით. ლ რდ რობერტს სესილმა განიზ-რახა უკანასკნელი ცდა მოეხდინა ნან-სენის პროექტი კრებაზე გაყვანის სა-სარგებლოდ. მან მწუხარება გამოსთქვა იმაზე გამო, რომ ლიგის წევრთა შორის არ არის ერთი მუშაც კი, რადგან პრო-ლეტარიისათვის უფრო ადვილი გასაგე-ბი და ახლობელი იქნებოდა ტანჯვა და სიკვდილის აგონია მისი რუსი მოძმეე-ბისა. ლიგის კრებამ მიიღო რეზოლიუ-ცია, რომელშიაც ბრიუსელის კონფე-რენციას წინადადება ეძლევა იხელმძღვა-ნელოს ნანსენის პროექტით, მაგრამ ლი-გის წევრნი, როგორიც მთავრობის წარ-მომადგენელნი იმ აზრის არიან, რომ ლიგა არ გასცილდეს უბრალო მრჩევე-ლის როლს.

ინგლისის დელეგატმა ფიშერმა, რომ-ლის გამოსვლა თვით „მატენის" კორეს-პონდენტის მიერ წოდებულია. ცინიკუ-რად, წინადადება მისცა ერთა ლიგას კომისიას: რადგან აშკარად დიდი სახელ-მწიფონი უარს არიან გაუხსნან კრედი-ტი რუსეთს, ამიტომ იგი მაინც და მა-ინც ნურც აჩქარდება თვის მუშაობაში. ამის შემდეგ კამათი გადიდო.

## სტამბოლის ამბები

კონსტანტინოპოლიდან ახლად ჩამოსუ-ლი გადმოგვცემს შემდეგს:

— სტამბოლში სექტემბრის რიცხვებ-ში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელსაც მიზნად ჰქონდა ანტანტის ხელმძღვანელ-თა ამოხოცვა კონსტანტინოპოლში. შეთ-ქმულებას ხელმძღვანელობდნენ ახალ-გაზრდა თურქები. დაატყვევეს 10-დე ოსმალო და კონ—ლის მთავრობას მოს-თხოვეს მიეღო სასწრაფო ზომები, რომ აღმოეჩინათ შეთქმულების დანარჩენი წევრებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ სასტიკი ზომების მიღე-ბას. კონ—ლის მთავრობამ ეს მოთხოვ-ნილება დააკმაყოფილა და შეიპყრო რამოდენიმე კაცი.

— სექტემბერში მოხდა ტრამვაის მუშების გაფიცვა ეკონომიურს ნიადაგზე გაფიცვამ გასტანა სამს დღეს. ნაწილი მუშებისა დაიჭირეს.

— ანტანტის აგენტები სასტიკ ზო-მებს ღებულობენ ახლად ჩასულთა წი-ნააღმდეგ; ეშინიათ რომ არ შეეპაროთ კომუნისტები.

— ომი ბერძენ-ოსმალთა შორის მწვა-ვე ხასიათს ღებულობს. არც ერთი მხარე დათმობის გზას არ ადგება და საზამთრო კამპანიისათვის ემზადებიან.

— სტამბოლში აურაცხელი უცხოელები არიან თავმოყრილი; სურსათ-სანოვაგე და ყოველგვარი საქონელი ბლომად არის; საქონელი შემოაქვთ თითქმის ყველა ევროპიელ და ამერიკულ სახელმწი-ფოებს. ამ ბოლო დროს ჩვენში გავრცე-ლებული ხმები, თითქოს საქონლის ფას-მა აიწია სტამბოლში, არ შეესაბამება სინამდვილეს; დაეცა თურქული ქაღალ-დის ფულის კურსი და ამან გამოიწვია ფასების ცვლილება. ნამდვილად კი ფასები საქონელზე, შედარებით ჩვენი ბაზრების ფასებთან ძლიერ იაფია. გამოტანა თა-ვისუფალია. ამერიკიდან მოდის დიდ-ძალი ფქვილი.

— საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა მოდებაძემ გამოგზავნა გემ „დიმიტრიზე" სამასი ტონი ფქვილი სტამბოლიდან, რომელიც მოვა ამ ერთს კვირაში. აგრეთვე ამერიკაში ნაყიდია მოდებაძის მიერ 4 000 ტონი ფქვილი, რომელიც მოვა ორი კვირის განმავლო-ბაში ბათომის პორტში. ნაყიდია აგრე-თვე სხვა და სხვა გვარი საქონელი.

— საქართველოში საქონელი მოაქვთ არა ევროპ ელ კომერსანტებს განსაკუთ-რებით, არამედ ახლად „გაევროპიელე-ბულებს, რომელნიც აწერხებენ სხვა და სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომობის მიღებას. ქართველი კომერსანტები ვერ აწერხებენ ასეთს კომბინაციებს და ამი-ტომ არის რომ მათ ძნელად შეხვდებით საქონლის მომტანთა შორის.

— ქართველი ლტოლვილები ეკონო-მიურად გაჭირვებას არ განიცდიან; აქვთ დიდი სურვილი სამშობლოში დაბრუნე-ბის, მხოლოდ ზოგიერთი სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოდის.

— ქართველი იუნკრები გაგზავნა ყო ფილმა მთავრობამ ნაწილი საბერძნეთში და ნაწილი საფრანგეთში სწავლის გასა-გრძელებლად.

— ნ. რამიშვილმა გააკეთა ქართვე-ლების საერთო კრებაზე სტამბოლში მოხსენება საერთაშორისო მდგომარეო-ბისა და საქართველოს საკითხის შე-სახებ.

— რუსეთის ლტოლვილები ამერიკის კომიტეტისაგან ღებულობდნენ დახმარე-ბას; 15 სექტემბრიდან ეს დახმარება მოუსპეს. ამის გამო ბევრი მათგანი გა-ჭირვებაში ჩავარდა და ხელმძღვანელები ეძებენ გამოსავალს.

## უცხოეთი

მოსკოვი. რუსეთის დამშეულთა სასა-რგებლოდ შვეიცარიის სოციალისტურმა პარტიამ და პროფ. კავშირებმა შეაგრო-ვეს 480,000 ფრანკი. შვეიცარიის კო-მუნისტურმა პარტიამ შეაგროვა 92,000 ფრანკი და 3 ვაგონი ტ ნისამოსი. უნდა აღინიშნოს რომ კომუნისტურს პარტიას ჰყავს მხოლოდ 700 წევრი და სოცია-ლისტებთან და პროფეს. კავშირებთან შეერთებით 365.000 წევრი დაითვლება.

პეტროგრადი. შვეციის და დანიის მთავრობამ იცნო ლიტვის დამოუკიდებ-ლობა.

პეტროგრადი. ახლო მომავალში ლონ-დონში შესდგება საერთაშორისო კონ-ფერენცია შესახებ ვალიუტის კურსის აწევის სხვა და სხვა სახელმწიფოებში ოქროს ფონდის შექმნის გზით.

## თეატრი და ხელოვნება

მიხ. შარაშიძის დებიუტი შესდგება სახელ. საოპერო თეატრში მომავალ კვირაში. როგორც ჩვენ გვაცნობებენ, დებიუტი იქნება ოპერა — ... მსახიობი, მოსკოვის თეატრის აზრით წარმოადგენს განსაკუთრებულ დირე-ბულებას როგორც ხმის, ... ნო ძალის ...

— ... მუშაობს შ. შა-რაშიძის ... „... (ტალისმანი) დასადგმელად, რეჟისორობს ა. ფალავა. რეჟისორი ახმეტელი ამზა-დებს ცნობილი პოეტის შანშიაშვილის პიესა „ბერდო ზმანიას" დასადგმელად. კლასიკური კომედია „დავა" ერისთავისა იდგმება ახვლედიანიშვილის რეჟისორო-ბით.

— საბოლოოდ გამოირკვა, რომ სა-ხელმწიფო დრამის ზამთრის სეზონი გაიხსნება 23 ოქტომბერს, პირველად წავა ზღაპარი—ფეერია „ავგაროზი" შ. შარაშიძის. ამ პიესის დასადგმისათვის დამზადებულია დეკორაციები და სტი-ლის კოსტიუმები.

— ახლო დღეებში კინოსექცია სახ. გან. კომისარიატისა შეუდგება სურათე-ბის გადაღებას სახელწოდებით „არსენ ჯორჯიაშვილის" შ. დადიანის სცენა-რიუსობით. სცენარიუსი ხატავს ცხოვრე-ბას რევოლუციონერის ჯორჯიაშვი-ლისა, რომელმაც მოჰკლა 16 იანვარს 1906 წ. გენ. გრიაზნოვი. სურათების და-დგმას ხელმძღვანელობს ა. ი. პერეს-ტიანი.

— ტფილისში ამ დღეებში მოსკოვი-დან ჩამოდის მსახიობი მოსკოვის დიდი თეატრისა—ნ. ი. დერჟინისა და ა. ფ. მატოვისა.

— 9 ოქტომბერს ტფილისში მოსკო-ვიდან ჩამოვიდა პროფ. მოსკოვის კონ-სერვატორიისა პიანისტი კ. ნ. შვე-დოვი. (თ. ბ.)

## შეცდომის გასწორება.

გაზ. „ტრიბუნის" № 48-ში მოქ. დ. მ—შვილის წერილში „ამხ. მ. ჩხეიძის საპასუხოდ" დაშვებულია შემდეგი კო-რექტორული შეცდომა: მე-6-ე აბზაცის მე 6-ე სტრიქონში ნათქვამია: „გვგო-ნია დიდი გასავალი ექნება ეხლა.."—უნდა იყოს: „გვგონია დიდი გასავალი არ ექნება ეხლა..."

## ჩვენი ფოსტა

პარტიულ ორგანიზაციებს. პარტიული ყრილობის დელეგატთა გამოსაგზავნად ყველა ორგანიზაციებს ფოსტით დაეგ-ზავნა ლიტერები რკინის გზით უფასო მგზავრობისათვის ტფილისამდე.

სამეულა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.


**დაიკარგა** პირადობის მოწმო-ბა და შესასვლელი ბილეთი მოცემული ტფილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტის კანცელიარიიდან შალვა დავითის ძე კუკავას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** სახელმწიფო უნივე-რსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტისა, არჩილ დ. შე-ნგელიამ პირველი სემესტრის მატრიკუ-ლი, შესასვლელი ბილეთი და პირადო-ბის მოწმობა, აღებული 1920 წელში, რომელიც იქმნეს ჩათვლილი გაუქმებუ-ლად.

საექ. ფაკულ. სტუდენტი ა. შენგე-12 ლია.

**დაიკარგა** ტფილისის სახელმ-წიფო უნივერსიტე-ტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტე-ტის სტუდენტმა ვლადიმერ იულიანეს ძე ნიკოლაიშვილმა მატრიკული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** მოწმობა სახელმწი-ფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული გრიგოლ სიმონის ძე პლიქაძეს სახელობაზე, რასაც გაუქმებუ-ლად ვაცხადებ.

**დაიკარგა** სტუდენტის დროე-ბითი მოწმობა და კვიტანცია ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან მიღებული არშაკ თუ-მანიანცის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმე-ბულად.

**დაიკარგა** მოწმობა № 1291 ტფილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტიდან იესე ნესტო-რის ძე შაქარიშვილის სახელზე გაცე-მული. ჩაითვალოს გაუქმებულად. 13